პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერიდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 286 (11290) | პარასკევი. 12 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1959 წლის 9 იანვარს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1958 წლის 11 დეკემბერი.

უმნიშვნელოვანესი საქმე

საამეურნეო წელი მეცხოველეობაში დასასრულს უახლოვდება. მან სასიხარულო შედეგები მოგვცა: თითქმის ყველგან მიღწეულია პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა. ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში 11 თვეში საშუალოდ თვითეულ ძროხაზე მიღებულია 140 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. ასევე დაწინაურდნენ წითელწყაროს, საგარეჯოს და სხვა რაიონები. ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად უკეთ, ვიდრე შარშან, წარმოებს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება. კოლმეურნეობებში დამზადებულია ხორცი — 3.863 ტონით, რძე — 3.833 ტონით, კვერცხი — 5.632 ათასი ცალით მეტი, ვიდრე 1957 წლის შესაბამის პერიოდში.

ახლა, სკკპ XXI ყრილობისათვის მზადების დღეებში, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გულდასმით განიხილავენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს და მტკიცედ ირაზმებიან ახალი შვიდწლიანი გეგმის პროექტით დასახული გრანდიოზული ამოცანის შესასრულებლად. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სასიხარულო მაჩვენებლებით შეხვდნენ სკკპ XXI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას.

პარტიის XXI ყრილობისათვის მზადების დღეებში სამშობლოს გულში მოსკოვში წარმოიშვა ახალი შესანიშნავი მოძრაობა — იქმნება კომუნისტური შრომის ბრიგადები. ამ დიად მოძრაობას ყველგან ათასობით მიმდევარი გამოუჩნდა. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებშიც მოსკოველთა მაგალითისამებრ იქმნება კომუნისტური ბრიგადები. ბოლნისის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში ბრიგადა, რომელსაც ლ. კაპანაძე ხელმძღვანელობს, იბრძვის იმისათვის, რომ თავდადებული შრომით გაამართლოს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდება.

ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეები მტკიცედ დაირაზმნენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების დასახული ამოცანა. საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ პირუტყვის გამოზამთრებას კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

დადგა ზამთარი—ყველაზე პასუხსაგები პერიოდი მეცხოველეობაში. პირუტყვის გამოზამთრების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მეცხოველეობის ხაზით ზაფხულში და შემოდგომაზე მოპოვებულ მიღწევათა განმტკიცებაზე, ამ დარგის შემდგომ აღმავლობაზე.

სანიმუშოდ რომ გამოვაზამთროთ პირუტყვი, ამისათვის საჭიროა უზრუნველყოთ იგი საკვების აუცილებელი მარაგით; თბილი ნათელი ბინებით და წესიერი მოვლა-პატრონობით.

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, ბევრმა რაიონმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა საკვების დაგროვების დავალება. საგარეჯოს რაიონმა წელს დაამზადა 60 ათასი ტონა სილოსი. ეს თითქმის ორჯერ მეტია გეგმასთან შედარებით. ასპინძის რაიონში ყველა პირობა შექმნეს იმისათვის, რომ ზამთარში პირუტყვი უზრუნველყოფილ იქნას წესიერი კვებითა და მოვლით. უხეში საკვების დამზადების გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, ჩადეს ორჯერ მეტი სილოსი, ვიდრე შარშან. ასევე ითქმის ყვარლის, გურჯაანის, ბოლნისისა და სხვა რაიონებზე.

არ შეიძლება ითქვას, რომ პირუტყვის გამოზამთრებისათვის ყველგან დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყოს. ზოგან შეუწყნარებელი ტემპით მიმდინარეობს საკვების დამზადება, რითაც საფრთხეს უქმნიან პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებას. მარნეულის რაიონში წელს 37.912 ტონა უხეში საკვები უნდა დაემზადებინათ. ასეთი იყო ვალდებულება. სამწუხაროდ სიტყვა საქმედ ვერ აქციეს უხეში საკვების დამზადების გეგმა შესრულებული აქვთ მხოლოდ 75,3 პროცენტით. ასევე ფორმალიზმს ვხვდებით სილოსის დამზადებაში. ნაკისრი ვალდებულებიდან ჯერ კიდევ 24 ათასამდე ტონა სილოსი ჩაუდებელი აქვთ. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა არც ახმეტის, წალკის, თეთრი წყაროს, თიანეთის და ზოგიერთ სხვა რაიონებშია. ეს სერიოზული ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ აღნიშნული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები არაოპერატიულად, „საერთოდ“ ხელმძღვანელობენ მეცხოველეობას.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა გადაუდებელი საქმეა საუკეთესოდ მოაწყონ პირუტყვის საზამთრო ბაგური კვება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წველადობის გადიდებისათვის.

ასეთ ვითარებაში დიდად იზრდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა პასუხისმგებლობა პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის.

უწინარეს ყოვლისა აუცილებელია დაგროვებული საკვების მთელი მარაგის ზუსტად აღრიცხვა და მომჭირნეობით ხარჯვა. ამთავითვე საჭიროა კოლმეურნეობებში შემოწმდეს საკვების მარაგი და იქ, სადაც მისი ნაკლებობა აღმოჩნდება, მოეწყოს მეურნეობებს შორის საერთო-საკოლმეურნეო ურთიერთ დახმარება.

დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული მომთაბარე რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებს. მათ უნდა შექმნან ყველა პირობა პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის კეთილმოწყობილი, თბილი სადგომებით უზრუნველყოფას. ფაქტი ის არის, რომ ამ საქმეს ყველგან ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითად, მესტიის რაიონის სოფელ ლახამულას კოლმეურნეობაში წელს შარშანდელთან შედარებით ერთ საფურაჟე ძროხაზე 282 კილოგრამით ნაკლები რძე მიიღეს. ეს იმიტომ, რომ ძროხებს ცუდად კვებავენ, პირუტყვის სადგომები მოუწყობელია. მსგავს ფაქტებს სხვა რაიონებშიც ვხვდებით.

საკოლმეურნეო სოფელში ახლა დიდი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეები და მექანიზატორები სკკპ XXI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაებნენ. მათ ახალი ვალდებულებები იკისრეს პირუტყვის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის, რძისა და ხორცის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მეცხოველეთა ბრძოლას დასახული ამოცანების გადაჭრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

წიწვიანი ჯიშის კორომებსა და მწვანე ნარგავებში საახალწლო ნაძვისხის დამზადების აკრძალვის შესახებ

უკანასკნელ ხანამდე რესპუბლიკაში ყოველწლიურად იჭრებოდა დიდძალი წიწვიანი მცენარეები, რომლებსაც საახალწლო ნაძვისხეებად იყენებდნენ. ეს დიდ ზიანს აყენებდა ახალგაზრდა კორომებს და მთელ საგყეო მეურნეობას.

წიწვიანი ტყეების, კორომებისა და მწვანე ნარგავთა დასაცავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეებში, პარკებში, ბაღებსა და მწვანე ნარგავებში აიკრძალოს წიწვიანი ხეების მოჭრა საახალწლო ნაძვისხედ გამოყენების მიზნით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაევალოთ იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას წიწვიან ტყეებში, კორომებსა და მწვანე ნარგავებში ხეების მოჭრა საახალწლო ნაძვისხეებისათვის, გააძლიერონ სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების დაცვა. აგრეთვე პრესისა და რადიოსატრანსლაციო ქსელის საშუალებით გააშუქონ ტყეებისა და მწვანე ნარგავთა დაცვის საკითხები.

ყველა ორგანიზაციას, საწარმოსა და დაწესებულებას, კოლმეურნეობას, კოლმეურნესა და სხვა ჯერჩო პირს აკრძალული აქვთ ჩაიტანონ და გაყიდონ ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში საახალწლო ნაძვისხეები.

ქალაქ თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მილიციის ორგანოებმა 1958 წლის 10 დეკემბრიდან 1959 წლის 20 იანვრამდე უნდა დაწესონ საგუშაგოები ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში შემავალ გზატკეცილებზე, აგრეთვე ბაზრებში. საახალწლო ნაძვისხის შემომტანი პირნი ადმინისტრაციული წესით უნდა დაჯარიმონ თვითეულ ხეზე 100 მანეთის ოდენობით, ხოლო ჩამორთმეულ საახალწლო ხეებს ვაცალონ ტოტები და ამრიგად, მათი გამოყენება შეუძლებელი გახადონ. საახალწლო ნაძვისხის ავტომანქანით შემოზიდვის შემთხვევაში მძღოლს ერთი წლით ჩამოერთმევა მანქანის ტარების უფლება, გარდა ამისა, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდება 100 მანეთით თვითეულ ხეზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უნდა აუკრძალოს ორგანიზაციებს და მგზავრებს საახალწლო ნაძვისხის გადაზიდვა რკინიგზით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ევალება გააძლიეროს წიწვიანი ტყეების, კორომებისა და მწვანე ნარგავების დაცვა, განსაკუთრებით რკინიგზებისა და გზატკეცილების გაყოლებით. აგრეთვე დასახლებული პუნქტების ახლოს. ამისათვის მან უნდა დაწესოს ტყის დაცვის მუშაკთა სადღეღამისო მორიგეობა და არ უნდა დაუშვას წიწვიანი ტყის ნარგავების უნებართვო ჭრა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს დავალებული აქვს მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობებში გამოხშირვის წესით ამოთხაროს მიწიანად, შეფუთოს და ჩააბაროს რკინიგზას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახელზე 600 ძირი ორი-სამი მეტრი სიმაღლის თვითნათესი ხეები სკოლებისა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა ეზოებში დასარგავად.

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭომ მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე უნდა ჩააბაროს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს 2 ათასი ცალი ხელოვნური საახალწლო ნაძვისხე მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის მისაყიდად.

1959 წელს საქართველოს სარეწაო კოოპერაცია დაამზადებს 15 ათას ცალ ხელოვნურ საახალწლო ნაძვისხეს. ამ რაოდენობის გარდა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ 1959 წელს ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან უნდა შემოზიდოს საჭირო რაოდენობით საახალწლო ნაძვისხეები მოსახლეობისათვის.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს დაევალათ სისტემატურად მოათავსონ წერილები, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტმა მოაწყოს გადაცემები ტყის კორომების დაცვისა და წიწვიანი ჯიშის მცენარეთა საახალწლო ხედ გამოყენების აკრძალვის შესახებ.

მეცნიერთა პაპრიოტული თაოსნობა

საქართველოს ს. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის წარმომადგენლები ქარხანა „ელექტროავტომატში“ ესაუბრებიან ზაურ რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს.

ფოტო ბ. ბოგობიასი.

★ ★ ★

ინსტიტუტის კოლექტივი — კომუნისტური შრომის ბრიგადას

მეცნიერის საგუშაგო ზაურ რუსიას ბრიგადაში

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის წერილი საქართველოს მეცნიერებს, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის მუშაკებს

გუშინ დიდი სიხარული იყო თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ ზაურ რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადაში. ბრიგადას ეწევნენ ძვირფასი სტუმრები — საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის წარმომადგენლები. მეცნიერებისა და მუშების შეხვედრა მოხდა საამქროში, ზაურ რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადის სამუშაო დაზგებთან. მეცნიერებმა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს გააცნეს თავიანთი გადაწყვეტილება — შექმნან ზაურ რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადაში „მეცნიერის საგუშაგო“, ყოველმხრივ დაეხმარონ ბრიგადას კომუნისტური ვალდებულებების სასახელოდ შესრულებაში, მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდებს, რათა ისინი სისტემატურად იმაღლებდნენ პროფესიული დაოსტატების დონეს, იმდიდრებდნენ ცოდნას, ეცნობოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს და იყენებდნენ პრაქტიკულ საქმიანობაში.

მეცნიერთა შესანიშნავმა თაოსნობამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია არა მარტო ბრიგადაში, არამედ ქარხნის მთელ კოლექტივში.

ინსტიტუტის კოლექტივის წარმომადგენლებმა შეადგინეს წერილი, რომლითაც მიმართავენ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერების, სახალხო განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურის ყველა მუშაკს —

ძვირფასო ამხანაგებო!

განახორციელა რა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა, საბჭოთა ხალხმა მოკლე ისტორიულ ვადაში გამარჯვებული სოციალიზმის მძლავრ აყვავებულ სახელმწიფოდ გადააქცია თავისი სამშობლო.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხებმა მოიპოვეს ახალი დიდი გამარჯვებანი. XX ყრილობის შემდეგ კიდევ უფრო განვითარდა ცხოველმყოფელი ენერგია ხალხის მასებისა, რომელნიც აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, კომუნისტური მშენებლობის საარსებო საკითხთა გადაჭრაში, ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა ისე მძლავრი და დიადი, როგორიც ახლა არის. ყოველ დღეს საბჭოთა სამშობლოში მოჰქვს სიხარული და აღფრთოვანება, ყოველი დღე ჩვენს ქვეყანაში არის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი კომუნიზმის გზაზე, საბჭოთა ხალხების ცხოვრების აყვავების გზაზე.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავჯერდეთ მიღწეულს. კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც ბრძნულად და გაბედულად მიჰყავს ჩვენი ხალხი დიადი მიზნისაკენ, შეიმუშავა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელიც გამხატავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში. საბჭოთა ადამიანები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს.

პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად ხალხის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის განსაკუთრებული აღმავლობის ვითარებაში წარმოიშვა შესანიშნავი თაოსნობა — გაჩაღდა შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელის მოსაპოვებლად. ასეთი ბრიგადები, როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, იქმნება ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, მახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტზე. ეს ბრიგადები იღებენ კომუნისტურ ვალდებულებებს და იწყებენ შრომას, სწავლას და ცხოვრებას ახლებურად, კომუნისტურად.

კომუნისტური შრომის ბრიგადების მოძრაობა მკაფიოდ მოწმობს იმას, რომ იწყება ლენინის გენიალური განჭვრეტის განხორციელების დრო — კომუნისტური შრომის ზეიმის დრო. და ასეთ დროს განუზომლად მაღლდება ჩვენი — საბჭოთა მეცნიერების, სტუდენტი ახალგაზრდობის, კულტურის ყველა მუშაკის პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე. ჩვენი წმინდა ვალია ვიდგეთ ჩვენი ეპოქის დიად მოძრაობათა ავანგარდში, არ შემოვიფარგლოთ სტუდენტთა აუდიტორიით, ვიწრო კაბინეტებით და ლაბორატორიული საქმიანობით, მჭიდროდ დავუკავშირდეთ მასებს, მხარში ამოვუდგეთ მათ, დავეხმაროთ კეთილშობილურ ბრძოლაში გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

ამ შეგნებით ჩვენ გადავწყვიტეთ შევქმნათ „მეცნიერის საგუშაგო“ თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელსაც ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტი ზაურ რუსია ხელმძღვანელობს და ვალდებულებას ვიღებთ —

1. ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ზაურ რუსიას კომუნისტური შრომის ბრიგადაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამ მიზნით — დავეხმარებით ქარხნის კოლექტივს, რომ საამქროში, სადაც რუსია მუშაობს, განვახორციელოთ შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. სანიმუშოდ მოვაწყოთ შრომის ორგანიზაცია; ბრიგადის თვითეული წევრის სამუშაო ადგილი იძლეოდეს საწარმოო კულტურის კარგ მაგალითს.

2. რუსიას ბრიგადის მეშვეობით და მასთან ერთად დავეხმარებით ქარხნის კოლექტივს ახალი პროდუქციის — საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტროავტომატების — ათვისებასა და გამოშვებაში, ჩვენი ინსტიტუტის ლაბორატორიებში მოვაწყობთ ამ ახალი პროდუქციის ნიმუშების გამოცდას და ტექნიკური მაჩვენებლების გამოკვლევას.

3. ბრიგადაში წამოჭრილ თვითეულ რაციონალიზატორულ წინადადებას და გამოგონებას გულდასმით განვიხილავთ ბრიგადასთან ერთად, დავაზუსტებთ რაციონალიზაციის მეცნიერულ და ტექნიკურ მხარეებს, ეკონომიურ ეფექტიანობას.

4. დავეხმარებით ბრიგადას პროფესიულ დაოსტატებაში, მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის ამაღლებაში, განათლების შეძენაში. ამ მიზნით — ბრიგადის წევრებს სისტემატურად ჩავუტარებთ ლექცია-საუბარს მეცნიერების და ტექნიკის მიღწევებზე, საწარმოო ტექნოლოგიის გაუმჯობესების, შრომის ორგანიზაციის ამაღლების და სხვა საკითხებზე; ზაურ რუსიას და გუგული ავაზაშვილს, რომლებიც ჩვენი ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტები არიან ხელს შევუწყობთ, რომ ისინი კარგად ათავსებდნენ მაღალნაყოფიერ შრომას უმაღლეს სასწავლებელში წარმატებით მეცადინეობასთან; ბრიგადის დანარჩენ წევრებს, რომელთაც საშუალო განათლება აქვთ, დავეხმარებით უმაღლესი ცოდნის შეძენაში.

ძვირფასო ამხანაგებო!

მოგმართავთ რა ამ წერილით გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ მოიწონებთ ჩვენს ამ წამოწყებას. კომუნისტურ შრომაში მასებთან ერთიანობა ჩვენი წმინდა პატრიოტული ვალია.

მხარში ამოვუდგეთ კომუნისტური შრომის ბრიგადებს პატრიოტულ საქმეებში.

პროფ. ი. ბუაჩიძე — საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი, ვ. ხუროუშვილი — პარტიული კომიტეტის მდივანი, ბ. ანდრონიკაშვილი — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ა. ლოსაბერიძე — სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, დოც. ა. კოტია — ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი, დოც. ბ. ჩიხლაძე — მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, აკადემიკოსი რ. დვალი, კათედრების გამგეები — პროფ. ნ. ბაბაშვილი, პროფ. ა. ტერ-ხაჩატუროვი, დოც. თ. ლოლაძე.

ახალი კათოსი

წერილი სოფლიდან

იმ საღამოს ტარასი საბაშვილი გვიანობამდე დასტრიალებდა ახალდმოტანილ დოლაბებს. ხელს აშველებდა ახალგაზრდებს ელექტროწისქვილის დამონტაჟებაში. ვინ იცის როდემდის გადაყვეშოდა ხელს მოხუც ტარასი, კოლმეურნეობის კანტორიდან ბიჭს რომ არ ამოერბინა — პაპა ტარასი, გიბარებენ, მგონი თქვენი ბრიგადის წევრების შეკრებაა.

მოხუცს გაეღიმა. აი რამდენი ხანია კოლმეურნეობის წევრია, კაცი ამ სოფელს შეაბერდა და არ ახსოვს მის დაუკოხავად რამე საქმე გადაეწყვიტათ. ტარასი 1918 წლიდან პარტიის წევრია. დიდი ამაგი დასდო სოფელს. იცის ბერიკაცმა, ხალხი ენდობა მას, რჩევას ჰკითხავს, მოეთათბირება. ალბათ ახლაც სოფლის ავკარგზე ექნებათ სჯაბაასი. არც არის გასაკვირველი. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა პარტიის ნოემბრის პლენუმის დადგენილებები და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, ხალხის გულში თითქოს ახალი ცხოვრების კვირტებმა იფეთქეო, მომავალზე ფიქრმა და ოცნებამ აიტანა ყველა. ამიტომ არც გაჰკვირვებია ტარასი საბაშვილს, როცა ბრიგადის ჭევრებმა ერთხმად მოიწონეს ბრიგადის ხელმძღვანელის რევაზ ბასილიძის წინადადება ბრიგადა გადაექციათ კომუნისტური შრომის ბრიგადად.

— ჩვენს ბრიგადაში 7 კომუნისტი და 8 კომკავშირელია, — თქვა ბასილიძემ. — ეს საკმარისია, რომ მაგალითი ვიყოთ არა მარტო ჩვენი კოლმეურნეობის დანარჩენი ბრიგადებისათვის, არამედ მთელს რაიონშიც. ცუდად როდი ვამთავრებთ სამეურნეო წელს. 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 700 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მივიღეთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 375 ცენტნერისა, 2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 260 ცენტნერი ბოსტნეული ნაცვლად 92 ცენტნერისა, ჰექტარზე მივიღეთ 100 ცენტნერი ყურძენი, 70 ცენტნერი ხილი. დღისათვის ეს მაჩვენებელი შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ ხვალისათვის საკმარისი აღარ იქნება. ჩვენი ხალხის ხვალინდელი დღე უფრო მეტს მოითხოვს ჩვენგან და მეტს გვავალებს. ამიტომ თუ მხარს დამიჭერთ, წინადადება შემომაქვს დღეიდან ჩვენი ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადად გამოვაცხადოთ.

ადგილიდან წამოდგა ორგზის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნე კომუნისტი დავით მახნაშვილი.

— მე, ამხანაგებო, — დაიწყო მან,— სულით და გულით ვუერთდები ამხანაგ ბასილიძის წინადადებას. აბა ჩვენი ქვეყნის შვიდწლიანი გეგმა სხვა რა არის, თუ არა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გეგმა. ამიტომ თუ სხვა ხელმძღვანელებიც წინააღმდეგი არ იქნებიან, — გადახედა მახნაშვილმა იქვე მჯდომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შოთა ეცადაშვილს და პარტბიუროს მდივანს ვახტანგ გოგშელიძეს, — ახლავე გავითვალისწინოთ ჩვენი ბრიგადის შესაძლებლობანი დიადი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პაპა ტარასი გაიტაცა მომავლის ციფრებმა. ჰაი დედასა! მუხლში ძალა უნდა ჰქონდეს და თვალი უჭრიდეს, რომ თავი მართლა ბოლომდე ანაცვალოს ამ საქმეს. განა ეს მიწა მოსწრებია ისეთ რამეს, რის მოყვანასაც ეს დაუდეგარი ადამიანები ფიქრობენ?! 1965 წლისათვის საშუალოდ ჰექტარზე 150 ცენტნერი ხილი მოვიყვანოთ, 120 ცენტნერამდე ყურძენი მივიღოთ, საშუალოდ ჰექტარზე 1.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი და 300 ცენტნერი ბოსტნეულიც მივიღოთ.

მეორე დღეს მთელმა გორის რაიონმა შეიტყო სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის“ მეცხრე ბრიგადის კომუნისტური შრომის ბრიგადად გარდაქმნის ამბავი.

...კომუნისტურ შეჯიბრება ვაჩაღდა, დაიწყო აღებულ ვალდებულებათა შესრულება. კოლმეურნეობის ზვრებს გაათეცებული ძალითა და ენერგიით შეესივნენ შრომაში გაწაფული ვაქკაცები. ნიადაგი დახნეს, ვაანყოყიერეს, გაზაფხულზე შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის დასათესად მოამზადეს. უყურადღებოდ არც ბაღები და ვენახები დაუტოვებიათ. ბაღებში მოზამთრე მავნებელთა ბუდეებს აჩანაგებენ, სასუქებს ეზიდებიან. ახალი ბაღების გასაშენებლად, ორმოებსაც იღებენ. მარტო ამ ბრიგადის წევრებმა შვიდწლედში 50 ჰექტარი ახალი ბაღი უნდა გააშენონ. შრომაში დაწინაურდნენ მერგოლური ი. ვაზაგაშვილი, პ. ხუბაშვილი, თ. პარასკევაშვილი, კომკავშირელები დ. ლაფაჩი, გ. დოლიშვილი, უ. მეტრეველი.

* * *

სოფელში ზამთრის დღეებია. მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში მუშაობა არ წყდება. აქედანვე საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. შრომაში ყველაზე წინ არის კომუნისტური შრომის ბრიგადა.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ სპ. კორესპონდენტი.

ᲠᲔᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲙᲙᲞ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XIX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

მეცნიერება—ხალხის სამსახურში

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

★ ★

ᲤᲘᲖᲘᲙᲐ—ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲡ

1959-1965 წლების მანძილზე შეიქმნება ყველა პირობა მეცნიერების კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის. მეცნიერული ძალები და სახსრები მიმართული იქნება უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაწყვეტად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი ძირითადი მიმართულებით: კოსმოსური სხივების და მაღალი ენერგიების მქონე ნაწილაკების ფიზიკა; ბირთვული ფიზიკა; ნახევრადგამტარების ფიზიკა; ფიზიკური კიბერნეტიკა.

1959 წლიდანვე დაიწყება მუშაობა დაბალი ტემპერატურების ფიზიკაში.

კოსმოსური სხივების შესწავლას ფიზიკის ინსტიტუტი 1949 წლიდან ეწევა. მას ამ მიმართებით გარკვეული მიღწევებიც აქვს. მაგალითად. 1952 წელს პირველად საბჭოთა კავშირში ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ იქნა დამზერილი ახალი არასტაბილური მძიმე ელემენტარული ნაწილაკები.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲞᲘᲠᲝᲜᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲡᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲓ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ: �კᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲐ.

1959 ᲬᲚᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲨᲘ.

კოსმოსური სხივების შესწავლას ფიზიკის ინსტიტუტი 1949 წლიდან ეწევა. მას ამ მიმართებით გარკვეული მიღწევებიც აქვს. მაგალითად. 1952 წელს პირველად საბჭოთა კავშირში ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ იქნა დამზერილი ახალი არასტაბილური მძიმე ელემენტარული ნაწილაკები.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ. ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ ᲣᲬᲚᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. (ᲡᲙᲙᲞ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲐᲛᲐᲓ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲜᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲕᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲝᲠᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘᲡ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲓᲜᲔᲠᲒᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲘᲛ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. გარდა ამისა, ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის განყოფილება გააფართოებს თავის სამუშაოებს გამოსხივების გამოყენებისათვის საფეიქრო მრეწველობაში, საკონსერვო წარმოებაში, მეხილეობასა და მეღვინეობაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად ნახევრადგამტარების შესწავლას და მათს გამოყენებას წარმოებაში. ნახევრადგამტარების შესწავლისათვის ფიზიკის ინსტიტუტში ნავარაუდევია ერთი მხრივ რეაქტორის გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ დაბალი ტემპერატურებით სარგებლობა.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐ. ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲡ ᲣᲬᲚᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘ (ᲡᲙᲙᲞ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ).



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲗᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲗᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲢᲐᲠᲗᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲢᲐᲠᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲒᲘᲠᲘᲜᲓᲘᲡ ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ. (ᲡᲙᲙᲞ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲐᲛᲐᲓ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲥᲘᲛᲘᲐ—ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲒᲐᲨᲘ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი გულდასმით მუშაობს იმ ძირითად პრობლემებზე, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტამ სახალხო მეურნეობას უკვე მისცა გარკვეული შედეგი. ასეთია: ადგილობრივი ნედლეულის რაციონალური გადამუშავება, კერძოდ, მანგანუმის არაკონდიციური ღარიბი მადნებისა და არაკოქსვადი ნახშირების გამოყენება და სხვ. გაგრძელდება მუშაობა მანგანუმის მადნების ელექტრომეტალურგიული წესით გადამუშავების პროცესის ცალკეული სტადიების გაუმჯობესებაზე — ლითონური მანგანუმის, მანგანუმის შენადნობებისა და ნაერთების მიღების მიზნით. დაზუსტდება მანგანუმის კონცენტრატებისა და ჩვენი ტექნიკური კულტურებისათვის საჭირო მაღალეფექტური მინერალური სასუქების მიღების ტექნოლოგიური სქემა, აგრეთვე ადგილობრივი სპობობის კომპლექსური გადამუშავების საკითხი.

ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. (ᲡᲙᲙᲞ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ: ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲐ.

1959 ᲬᲚᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲘᲛ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. გარდა ამისა, ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის განყოფილება გააფართოებს თავის სამუშაოებს გამოსხივების გამოყენებისათვის საფეიქრო მრეწველობაში, საკონსერვო წარმოებაში, მეხილეობასა და მეღვინეობაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად ნახევრადგამტარების შესწავლას და მათს გამოყენებას წარმოებაში. ნახევრადგამტარების შესწავლისათვის ფიზიკის ინსტიტუტში ნავარაუდევია ერთი მხრივ რეაქტორის გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ დაბალი ტემპერატურებით სარგებლობა.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲝᲠᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘᲡ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲓᲜᲔᲠᲒᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲯᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲚᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲖᲔ — ᲚᲘᲗᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ, ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲓᲐᲖᲣᲡᲢᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲜᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲖᲔ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲛᲔᲮᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ.

ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ: ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ; ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲑᲔᲠᲜᲔᲢᲘᲙᲐ.

1959 ᲬᲚᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲨᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲘᲛ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ, ᲠᲐᲪ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲘᲗᲘ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲘᲥᲠᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲔᲮᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲐᲛᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ, ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲒᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲜᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲕᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲠᲔᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲔ

წალკოტად ვაქციოთ ქართული მიწა!

★ ★ ★

ქუთაისმა მიიღო რუსთავის გამოწვევა

სულ უფრო ლამაზდება და მშვენდება, მწვანით იმოსება ქალაქი ქუთაისი. მისი ქუჩები და მოედნები, საწარმოთა ტერიტორიები, სკოლებისა და საცხოვრებელი სახლების ეზოები, პარკები და სკვერები დამშვენებულია მწვანე ნარგავებით, ხეივნებით, გაზონებითა და ყვავილნარებით. ახალ მაგისტრალებზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გასწვრივ ჩამწკრივებულია მარადმწვანე ხეები და ბუჩქები. ამ უკანასკნელ წლებში ქალაქში დაირგო 2 მილიონამდე ძირი ხე და ბუჩქი.

ქუთაისს გარს აკრავს მუხნარის მშვენიერი აგარაკი, კორპის მუხის მარადმწვანე ტყე, სათაფლიის ნაკრძალი და სხვა ტყიანი ადგილები.

და მაინც. მოუხედავად ამისა, გამწვანების კუთხეში დღემდე განხორციელებული ღონისძიებანი ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის მშრომელთა მოთხოვნებს, ჩამორჩება ქალაქის ზრდა-განვითარების სწრაფ ტემპს.

სწორედ ამიტომ ქუთაისის მშრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი წითელწყაროელთა პატრიოტულ თაოსნობას, ერთსულოვნად მოიწონეს და მიიღეს ქალაქ რუსთავის მშრომელთა გამოწვევა. ჩაებნენ შეჯიბრებაში ქალაქების შემდგომი გამწვანებისა და გამშვენებისათვის და თავიანთ მხრივ იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი.

ქუთაისის მშრომელები კისრულობენ გაატყეონ და მწვანით დაფარონ ქალაქში ჯერ კიდევ შემორჩენილი ხრიოკი ადგილები და ფერდობები, მდინარეების — რიონის, წყალწითელას, რუას და ოლასკურის ხეობები და სანაპიროები 148 ჰექტარ ფართობზე; გააშენონ 100 ჰექტარი ქარსაცავი ზოლი რიონის მარცხენა ნაპირზე; ქალაქში მოაწყონ ორი ჰექტარი ფართობის სამი ახალი სკვერი; გააშენონ 2,6 ჰექტარი ახალი გაზონები პლეხანოვის, წერეთლისა და სოხუმის ქუჩებზე; მანქანათსამშენებლო ქარხნის ტერიტორიაზე გააშენონ და მოაწყონ კულტურისა და დასვენების ახალი დიდი პარკი 12 ჰექტარი ფართობით; ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე მოაწყონ ოთხი ახალი სკვერი, ამავე რაიონში დარგონ 70.000 ძირი ხე და ბუჩქი. სანერგეებში გამოიყვანონ 50.000 ძირი დეკორაციულ მცენარეთა ნერგი, მოაწყონ ყვავილების ორანჟერია, გააშენონ ახლადგებული კინო-საკონცერტო დარბაზის ტერიტორია, ინდივიდუალურ მშენებელთა დასახლების ზონებში დარგონ 10.000 ძირი სხვადასხვა ჯიშის ხეხილი, შემოაკავონ საავტომობილო ქარხნის სანერგეები, სკვერები და გაზონები 6 კრძივ კილომეტრზე; სარგავი მასალის ბაზის შექმნისათვის ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სანერგე მეურნეობა გაფართოონ 35 ჰექტარამდე. ხოლო მეყვავილეობის განვითარებისათვის საორანჟერეო მეურნეობა გაადიდონ 1.200 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე; ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობის მიზნით ხუთი წლის განმავლობაში ქუჩების, მოედნების, აგრეთვე სკოლების, სბავშვო ბაღებისა და ბაღების ეზოების გასამწვანებლად დარგონ 800.000 ძირი ხე და ბუჩქი.

იკისრეს რა ეს ვალდებულებანი, ქუთაისის მშრომელებმა საქმით გააჩაღეს ბრძოლა მათი შესრულებისათვის, იმისათვის, რომ გამწვანების საქმეშიც ჩაებას ქალაქის მთელი მოსახლეობა— მეუნები, მოსამსახურეები, ინტელიგენცია, კომკავშირელები, პიონერები, მოსწავლეები და სტუდენტები.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გადავარჩინოთ ნაძვი

საქართველოს საუნჯეს და ძვირფას სამკაულს მისი მდიდარი ტყეები წარმოადგენენ. სამწუხაროა, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ბუნების ეს ძვირფასი სამკაული ითელება და ნადგურდება. ამიტომაც რაიონებში ტყეების დიდი ნაწილი შემცირდა. ჩვენი ვალია დავიცვათ ჯანსაღი ბუნება, აღვკვეთოთ ტყეების გაჩეხვა, გადავარჩინოთ „მწვანე მეგობრები“ დაღუპვისაგან.

საახალწლო ზეიმს, ნაძვისხეს დიდი სიხარული მოაქვს ბავშვებისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი სიამოვნებისათვის, ბავშვების გასახარელად ზიანი მივაყენოთ ჩვენს ბუნებას, შეუბრალებლად გავჩეხოთ ნაძვის ხეები. ხელოვნური ნაძვისხეები, რომლებსაც ახლა ამზადებენ, არანაკლებ სიამოვნებას მოუტანენ ჩვენს ბავშვებს. ტყეებში წიწვიანი ხეების მოჭრა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუ თვით ტყის კეთილდღეობა მოითხოვს. გამეხრეებას, თუ წიწვიანი ხეების არსებობა ხელს უშლის სხვა ხეების ზრდა-განვითარებას.

თუ ყველა მოქალაქე შეიგნებს, რომ ლამაზი ტყეების გადარჩენისათვის ზრუნვა მათი ღვიძლი საქმეა, საქართველოს მადლიან მიწას არასოდეს არ მოაკლდება მწვანე სამოსელი — ადამიანის ჯანმრთელობის ერთგული მსახური.

ყველამ უნდა იცოდეს: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონი „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ“ მეტად დროული, დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა. მისი განხორციელება საყოველთაო - სახალხო საქმედ უნდა ვაქციოთ.

მ. მესხი,
საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის მემცენარეობა - ბოტანიკის კათედრის დოცენტი.

ხელოვნების ქრონიკა

სომხური კულტურის სიამაყე

ქუთაისში, წყალტუბოში, სოხუმში, ბათუმსა და ახალციხეში გამართული კონცერტების შემდეგ თბილისს საგასტროლოდ ეწვია სომხეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე ანსამბლია. მან დიდად გაუთქვა სახელი სომხურ ეროვნულ კულტურას. ამ კეთილშობილურ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელს — სომხეთის სსრ სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს თ. ალთუნიანს. ანსამბლის ქორმეისტერია ჯ. გოზალიანი, ინსტრუმენტალური ჯგუფის ხელმძღვანელი — სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ა. ალექსანდრიანი, მოცეკვავეთა ჯგუფისა — ვ. რაშიდიანი.

თავისი არსებობის 21 წლის მანძილზე ანსამბლი მრავალჯერ სწვევია ჩვენს რესპუბლიკას.

ამჯერად ძერჟინსკის სახელობის კლუბში მომდერალთა გუნდმა საუცხოოდ შეასრულა „სიმღერა ლენინზე“, ხალხური სიმღერა „ჰინგალა“, „სუფრული სიმღერა“ და სხვ. მაყურებელთა კარგი შეფასება დაიმსახურა მოცეკვავეთა მალოსტატურმა შესრულებამ. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად სიმღერის თანხლებით შესრულებულ ცეკვებს — „მთიელი მზეთუნახავი“, „ლაფამა“ და „მოხევის ქალო თინაო“. ანსამბლის კონცერტებში მონაწილეობა მიიღო მხატვრული კითხვის ოსტატმა სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა თ. დემურიანმა.

პროგრამა მიჰყავს ა. მინასიანს.

სომხეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი თბილისიდან საგასტროლოდ ბაქოში გაემგზავრება.

გ. აბესაძე.

სურათზე: სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ქოშიანი ასრულებს ცეკვას „მთიელი მზეთუნახავი“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

არგენტინელი გიტარისტის გასტროლები

მსოფლიოში სახელგანთქმული ესპანელი ვირტუოზი გიტარისტის ანდრე სეგოვიას შემდეგ ჩვენში იშვიათად თუ ჩამოსულა რომელიმე გამოჩენილი საზღვარგარეთელი გიტარისტი. მით უფრო საინტერესო იყო ამ დღეებში ცნობილი არგენტინელი გიტარისტისა და მომღერალი ედუარდ ფალუს თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლა და მისი კონცერტები სახელმწიფო ფილარმონიის საზამთრო თეატრში.

ედუარდ ფალუს რეპერტუარი მკვეთრად განსხვავდება ბევრი არგენტინელი შემსრულებლის რეპერტუარისაგან: თუ ლოლიტა ტორესი უმთავრესად მღერის ტიპიურ ესპანურ სიმღერებს და უგო დე კარიდუარდ ფალუ აგროვებს და თავის საკონცერტო რეპერტუარში შეაქვს არგენტინის სხვადასხვა პროვინციებში გაფანტული და მივიწყებული სოფლური ფოლკლორის ნიმუშები.



ე. ფალუ.

* * *

შესანიშნავმა არგენტინელმა გიტარისტმა და მომღერალმა თბილისელ მსმენელებს პირველად გააცნო ხატოვანი გრაციით აღსავსე ხალხური არგენტინული მელოდიები და რიტმები „მილონგა“, „სამბა“, „ვიდალა“, „მალამბო“, „კარნავალიტო“. იგი ამავე დროს ნიჭიერი კომპოზიტორიც არის, ავტორია ბევრი საინტერესო მუსიკალური ნაწარმოებისა.

დ. გველესიანი.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა

1943 წლის 12 დეკემბერი საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის ისტორიაში შეიდა როგორც მკაფიო ღირსშესანიშნავი თარიღი. ამ დღეს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულება. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებას, რომელიც ომის დღეებში დაიდო, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული თავისთავადობისა და სუვერენიტეტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, ორივე ხალხის ძმური მეგობრობის განვითარებისა და ფართო, ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის.

ვიხილა რა თავისი ბედის ბატონბატონი, ჩეხოსლოვაკიის ხალხმა მუშათა კლასის მოწინავე რაზმის — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ვადაში მოიპოვა თვალსაჩინო წარმატებანი. ახლა ჩეხოსლოვაკია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე, მრეწველობის მხრივ განვითარებული ქვეყანაა. ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო წარმოების მოცულობა ომამდელ პერიოდთან შედარებით ერთიანად გაიზარდა. ამჟამად ერთ სულ მოსახლეზე ფოლადის წარმოების მხრივ ჩეხოსლოვაკიის უკავია მე-7 ადგილი მსოფლიოში და მე-6 ადგილი ევროპაში. ლითონდამმუშავებელი ჩარხების წარმოების მხრივ უახლოესდება ამერიკის შეერთებული შტატების დონეს, ხოლო საგლინაები მოწყობილობის წარმოების მხრივ შეერთებული შტატების დონეზეა. ჩეხოსლოვაკიას თვალსაჩინო მდგომარეობა აქვს მსოფლიოში ქვანახშირის ამოღების, ელექტროენერგიის, ორთქლისა და წყლის ტურბინებისა და სხვა მანქანების წარმოების მხრივ.

ჩეხოსლოვაკიის სოფელი მტკიცედ დაადგა სოციალისტური განვითარების გზას. ამჟამად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შექმნილია ჩეხოსლოვაკიის ყველა სოფლის 81 პროცენტში. სახელმწიფო მეურნეობებთან ერთად ისინი წელს ამუშავებენ მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის 72 პროცენტს. წლითიწლობით ფართოვდება სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, დიდდება კულტურების მოსავლიანობა, იზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, დიდდება გლეხების შემოსავალი. ამჟამად ჩეხოსლოვაკიას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე შაქრისა და ხორცის წარმოების მხრივ.

დიდია ჩეხოსლოვაკიის წარმატებანი კულტურული მშენებლობის დარგშიც. სახალხო ხელისუფლების წლებში ჩეხოსლოვაკიაში აშენდა ასობით ახალი სკოლა, კლუბი, თეატრი და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობით 100 ათას მცხოვრებზე ჩეხოსლოვაკიამ გაუსწრო საფრანგეთს, ინგლისს, დასავლეთ გერმანიას, შვეიცარიასა და ავსტრიას.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა წარმატებანი სახალხო-დემოკრატიული წყობილების ცხოველმყოფელი ძალის, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალის ბრწყინვალე დადასტურებაა. განვლილი 15 წელი მაგალითია საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის უანგარო ურთიერთ სასარგებლო თანამშრომლობისა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები, საერთო ინტერესებისა და მიზნების ერთიანობა, თანამშრომლობისა, რომელიც კეთილნებოფიერ გავლენას ახდენს ორივე ქვეყნის და მთელი სოციალისტური ბანაკის ეკონომიკისა და კულტურის განმტკიცებაზე.

წლითიწლობით მტკიცდება ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, ძმური მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შორის. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ბრუნვა უკანასკნელ ათ წელიწადში 4-ჯერ გადიდდა. ჩეხოსლოვაკიის საგარეო ვაჭრობაში საბჭოთა კავშირს უკავია მესამე ადგილი ჩინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შემდეგ. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის საქონელბრუნვის სტრუქტურა შეესაბამება ორივე ქვეყნის სამეურნეო მოთხოვნილებებს. საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას აწვდის ნედლეულს მრეწველობისათვის, მანქანებსა და მოწყობილობას, ხანგრძლივი სარგებლობის საქონელს, სასურსათო და საკვებ მარცვლეულს. სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის იმპორტის ძირითადი მუხლია მძიმე მანქანათმშენებლობის პროდუქცია. საბჭოთა კავშირის წილი ჩეხოსლოვაკიის მანქანებისა და მოწყობილობის ექსპორტის საერთო მოცულობაში 1949 წლის 14,3 პროცენტიდან გადიდდა 39,8 პროცენტამდე 1956 წელს.

საბჭოთა და ჩეხოსლოვაკი მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები თავიანთ მიღწევებს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ ორივე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა შესაძლებლობას აძლევს ორივე ქვეყანას დაზოგონ დიდი სახსრები. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის თხოვნით სსრ კავშირმა მისცა მას ქანჩების წარმოების საბჭოთა ავტომატების ნახაზები. ამ ავტომატების გამოყენების შედეგად მიღებულმა მოგებამ მარტო 1957 წელს შეადგინა 69 მილიონი კრონი. სტალინგრადისა და კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე დამტკონების ჩეხოსლოვაკიური მეთოდის გამოყენების შედეგად დაზოგილია 225 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და ამას გარდა ერთისთვად გადიდდა შრომის ნაყოფიერება.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში 2 ათასზე მეტი ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტი იყო საბჭოთა კავშირში და დაახლოებით ამდენივე საბჭოთა სპეციალისტი — ჩეხოსლოვაკიაში.

თანამშრომლობა კულტურის დარგში ორივე ქვეყანას შორის ხორციელდება კულტურული თანამშრომლობის გეგმების საფუძველზე. ორივე ქვეყანა სისტემატურად უცვლის ერთმანეთს კინოფილმებს, სამხატვრო გამოფენებს, თეატრალურ კოლექტივებსა და სხვ. საბჭოთა მაყურებლებს შეუყვარდათ ჩეხოსლოვაკიის ბევრი კინოსურათი, ხოლო ჩეხები და სლოვაკები თავის მხრივ მხურვალედ ხვდებიან საბჭოთა კინოხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს. ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის კინომუშაკები ერთად თანამშრომლობენ რამდენიმე კინოფილმის შექმნაში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობამ ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა წინაშე დასახა ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების დიდი ამოცანა. ეჭვი არ არის, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრება. ამის გარანტიაა სულ უფრო მზარდი შრომითი აქტივობა ჩეხოსლოვაკიაში და ჩეხოსლოვაკიის მზარდი მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

ტ. მარტინოვა.

მწვანე სამოსელში გავხვიოთ ქალაქი

ქალაქ ფოთის საწარმო-დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოსახლეობა ყოველდღიურად გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ ქალაქისა და დასახლებული უბნების ქუჩების გამწვანებისათვის. მაგრამ ამ საქმეს ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი. ქალაქში ბევრია გაუმწვანებელი ადგილები. ყველა დმინისტრაციული შენობის ეზოები, ქუჩები, გზატკეცილები, მოედნები და მოსახლეთა კარმიდამოები როდია გამწვანებული. არასაკმაო ყურადღება ექცევა არსებული ნარგავებისა და ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეს, ახალ ტყეებისა და მინდორსაცავი ზოლების გაშენებას. ხშირია ტყეებში უნებართვო ჭრის შემთხვევები და გაძლიერებული ექსპლოატაცია, რაც ხელს უწყობს ტყეების გაჩანაგებას. ქალაქში არ აისებობს სანერგე მეურნეობა.

გახშირდა უნებართვო ნადირობის, თევზის ჭერისა და ბრაკონიერობის შემთხვევები, რის შედეგადაც საგრძნობლად იკლო ჩვენს ტყეებში და წყალსაცავებში სასარგებლო ფაუნამ. თთქმის გადაშენებამდეა მისული სამონადირეო ფაუნის ისეთი ძვირფასი წარმომადგენლები, როგორიც არის შველი, გარეული ღორი, ნუტრია, ხიხობი, თევზეულიდან კეფალი და სხვ. მონადირეთა ამხანაგობა და მოსახლეობა სუსტად ეწევიან ბრძოლას ბრაკონიერობის აღსაკვეთად და მტაცებელი ცხოველებისა და ფრინველების წინააღმდეგ.

ვიწონებთ რა წითელწყაროსა და მცხეთის რაიონების მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებათა პასუხად ბუნებრივი სიმდიდრის გამრავლებისა და მისი დაცვის ნიშნით ფოთის მშრომელები შეჯიბრებაში ვიწვევთ ქალაქ ჭიათურას და ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. 1958-60 წლებში გავშენებთ სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეს 50 ჰექტარზე და ქარსაცავ და მინდორსაცავ ზოლებს 100 ჰექტარზე.

2. 1960 წლის გაზაფხულისათვის დავამთავრებთ ტყე-პარკის გაშენებას ძალთაყვის ტერიტორიაზე 62 ჰექტარზე, სადაც დავრგავთ 200-ზე მეტი ჯიშის 60 ათასამდე ძირ მცენარესა და დეკორაციულ ბუჩქებს.

3. 1960 წლის გაზაფხულისათვის გავაშენებთ ფიჭვის ტყის ზოლს ფოთ-სუფსის გზატკეცილის ორივე მხარეს 55 ჰექტარზე.

4. 1959 წლის გაზაფხულისათვის გავაშენებთ ჭადრის ხეივანს ახალი გზატკეცილის ორივე მხარეს, ჯუღაშვილის ქუჩის ბოლოდან მარეგულირებელ რაბამდე.

5. 1960 წლის შემოდგომისათვის ქალაქის მოსახლეობის აღმოსავლეთის ქარისაგან დაცვისა და მიდამოების გალამაზების მიზნით გავაშენებთ ხეივანს მდ. კაპარჭინის მარჯვენა ნაპირზე პალიატომის ტბიდან სასაკლაო მეურნეობამდე, ამასთან კუნძულ კოლიმბარზე გავაშენებთ ტყეს 10 ჰექტარზე.

6. უახლოეს 3-4 წელიწადში ნიკოლაძის კუნძულზე გავაშენებთ ტყე-პარკს 10 ჰექტარზე.

7. ყოველწლიურად გავამწვანებთ ქალაქის ტერიტორიაზე 4 ქუჩას.

8. ქალაქის ტერიტორიაზე თვითეული მოსახლე თავის საკარმიდამო ნაკვეთზე დამატებით დარგავს და გაახარებს ნაყოფის მომცემ მცენარეს არანაკლებ 5 ძირისა.

9. სარგავი მასალის ბაზის შესაქმნელად ქალაქში მოვაწყობთ სანერგე მეურნეობას 10 ჰექტარზე.

10. უზრუნველვყოფთ ქალაქის საწარმო-დაწესებულებების, მოსახლეობის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მოსწავლეების ჩაბმას გამწვანებისა და მწვანე ნარგავთა მოვლა-დაცვის საქმეში.

აღნიშნულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებით ჩვენს წვლილს შევიტანთ ბუნების დაცვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის განხორციელებაში.

გ. კვარაცხელია — საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **რ. ცომაია** — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე; **ზ. ნადარეიშვილი** — საქართველოს ალკ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **შ. ქავშუაძე** — კოლხიდის სატყეო მეურნეობის დირექტორი; **ა. ჭყონია** — ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი; **ი. წურწუმია** — გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქტორი; **ა. ჯანუაშვილი** — ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; **ვ. ბოგინავა** — პატარა ფოთის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; **შ. ძნელაძე** — ჭალადიდის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი; **ა. მოწერელია** — ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლხიდის ფილიალის დირექტორი; **ა. დემანია** — ჭალადიდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ქუთაისის მახლობლად მდინარე წყალწითელას მარცხენა ნაპირზე გაშენებული კორპის მუხის ტყე.

ფოტო ბ. მაღალფერიძისა.

ფართოდ დავნერგოთ პროგრესული მეთოდი

ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის წესის დამკვიდრებისათვის

მიმდინარე წლის გაზაფხულზე საგარეჯოს, მარნეულის, სამგორისა და ბოლნისის რაიონების კოლმეურნეობებმა ძროხების მეტი ნაწილი გადაიყვანეს ბაგურ-ბანაკურ მოვლა-შენახვაზე. ამ პროგრესულმა მეთოდმა უკვე გამოიღო დადებითი შედეგები. ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის გამოცდილების გავრცელების საჭიროებაზე ლაპარაკობენ რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში, როცა განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვა ხელს შეუწყობს წარმატებით გადაიჭრას 1965 წლისათვის გათვალისწინებული ამოცანა — საქართველოს სს რესპუბლიკაში რძის წარმოება 1957 წელთან შედარებით გაიზარდოს დაახლოებით 2,4-ჯერ.

ამ საკითხს მიეძღვნა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, სოფლის მეურნეობის ინსპექციათა მუშაკების, მეცნიერთა და მეცხოველეთ სპეციალისტთა თათბირი, რომელიც მოიწვია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. თათბირი გახსნა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ალავიძემ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, მეცხოველეობის დარგში, ამხ. ვ. კობახიძის მოხსენებაში მოყვანილი იყო ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის უნარიანი ორგანიზაციის, ამ საფუძველზე მათი კვების გაუმჯობესებისა და როგორც ამის შედეგი — წველადობის მკვეთრი გადიდების მრავალი ფაქტი და მაგალითი.

ათ თვეში ბაგურ-ბანაკურ მოვლა-შენახვაზე გადაყვანილი ძროხების მთლიანი წველადობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 1582 ტონით, ანუ 19,7 პროცენტით. ბევრმა კოლმეურნეობამ კიდევ უფრო უკეთეს მაჩვენებელს მიაღწია. საგარეჯოს რაიონის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში 1 ნოემბრისათვის ერთი ძროხის საშუალო წველადობა შეადგენდა 1.976 კილოგრამს.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ბოლნისის რაიონმა. რაიონის 25 კოლმეურნეობამ ბაგურ-ბანაკურ მოვლა-შენახვაზე გადაიყვანა 1.104 ძროხა და ათ თვეში მიიღო 2.640 ტონა რძე— 631 ტონით მეტი, ვიდრე 1957 წლის იმავე პერიოდში. ეს შეადგენს 31,4 პროცენტ ზრდას.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ბოლნისის რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსის ამხ. ნ. მეფარიშვილის ნაამბობი.

— მეტ წილ კოლმეურნეობებში, — თქვა მან, — ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვისათვის განხრახული იყო აგებულებანი სპეციალური ფარდულები, მაგრამ მიზანშეწონილი აღმოჩნდა მათი მოვლა-შენახვა ჩვეულებრივ ტიპობრივ საძროხეებში. როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, ეს მოხერხებულია მწვანე მასის მისაზიდად, საარწყებლითა და საძოვრით უზრუნველსაყოფად. ფარდულის აშენება მოგვიხდა მხოლოდ ორ კოლმეურნეობაში, რომელთა მწვანე საკვების ნათესები და საბალახეები, სხვა კოლმეურნეობებისაგან განსხვავებით, დიდ მანძილზეა საზამთრო საძროხეებიდან. ზოგიერთ კოლმეურნეობაში, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან მრავალწლიანი ბალახების ნათესებით, მწვანე საკვებად გავთიბეთ საშემოდგომო ხორბალი და ქერი, რამაც დიდი ეკონომიური ეფექტი გამოიღო. სეზონში გაითიბა 383 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული და მიღებულია 1.394 ტონა მწვანე მასა. გაზაფხულზე ძროხების გაძლიერებულმა კვებამ მწვანე მასით, რომელიც მიღებული იყო საშემოდგომო ხორბლისა და ქერის გათიბვით, გადიდა წველადობა.

წველადობის მხრივ საუკეთესო შედეგებს მიაღწია დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. 1 დეკემბრისათვის თვითეულ ძროხაზე აქ მოწველილია 1.978 კილოგრამი რძე. თითქმის ამდენივე მიიღეს თვითეულ ძროხაზე კალინინის სახელობის არტელის მეცხოველეებმა. ბევრი მწველავი თითო ძროხაზე უკვე იღებს ორი ათას და მეტ კილოგრამ რძეს. მთლიანად რაიონში 11 თვის მანძილზე თითო ძროხაზე საშუალოდ მიიღეს 1.318 კილოგრამი რძე — 296 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

ბაგურ-ბანაკურ მოვლა-შენახვაზე ძროხების გადაყვანის შედეგად შარშანდელზე 54 ტონით მეტი რძე მიიღო მარნეულის რაიონის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობამ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. ბაგიროვმა თათბირის მონაწილეებს გაუზიარა ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის გამოცდილება.

— მთავარია, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — რომ პირუტყვმა საკმაო რაოდენობით მიიღოს საკვები, საკმაოდ ჰქონდეს წყალი. ამას, რა თქმა უნდა, თან უნდა ახლდეს მზრუნველი მოვლა, ყურადღება ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი ექიმების მხრივ. გაზაფხულზე, ზაფხულში და თითქმის მთელ შემოდგომაზე კოლმეურნეობის მერძეულ ჯოგს საკმაოდ ჰქონდა მწვანე საკვები. ამისათვის გამოვიყენეთ 30 ჰექტარი ქერის ნათესი, 10 ჰექტარი იონჯის ნათესი, 10 ჰექტარი ნაწვეარალი ხორბლის ნათესი. ზამთრისათვის ჩავდეთ სიმინდის 3.300 ტონა სილოსი — 18 ტონა თითო ძროხაზე, დავამზადეთ 550 ტონა ჩალა, 220 ტონა კონცენტრატები და სხვა საკვები. შემოდგომაზე დავთესეთ 100 ჰექტარი ქერი, ქვავი და იონჯა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უკვე 1959 წლის აპრილის დამდეგიდან ძროხებს ვაძლიოთ მწვანე საკვები. გარდა ამისა, მარტში დათესილება 50 ჰექტარი სიმინდი. ეს ნათესები სავსებით უზრუნველყოფენ ძროხებს მაღალკალორიული საკვებით. კოლმეურნეობამ თითო ძროხის წველადობა უკვე აიყვანა 1.755 კილოგრამამდე. წლის დამლევამდე ეს ციფრი გაიზრდება კიდევ 200 კილოგრამით. შემავალ წელს ისინი ფიქრობენ თვითეული ძროხის წველადობა აიყვანონ 2.400 კილოგრამამდე.

ძროხების ბაგურ-ბანაკურ მოვლა-შენახვაზე გადაყვანის დადებითი შედეგების შესახებ ილაპარაკა აგრეთვე საგარეჯოს რაიონის სოფელ ნორიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ე. დანელიამ. ჩვენთან, თქვა მან, დანერგილია ნათესბალახიანი თესლბრუნვა, გადიდებულია სიმინდის ფართობი. უკვე ახლა თვითეული ძროხის წველადობა აღწევს 2 ათას კილოგრამამდე, რაც 4-5-ჯერ მეტია, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ არიან მწველავები, რომლებიც თითო ძროხაზე იღებენ 3.000-4.000 კილოგრამ რძეს. მწველავმა ფ. გამჯაშვილმა, რომელსაც მიჩენილი ჰყავს 11 ძროხა, თითო ძროხაზე მიიღო 4.700 კილოგრამი რძე.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე საგარეჯოს რაიაღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარი ზოოტექნიკოსი ამხ. გ. ჯორბენაძე, მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის საკავშირო [illegible]ბის განყოფილების გამგე ამხ. გ. რცხილაძე.

თათბირის მონაწილეებმა საჭიროდ მიიჩნიეს 1959 წლის გაზაფხულიდან ძროხების ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვა დაინერგოს ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ყაზრეთის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების კოლმეურნეობებში.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. მ. ი. კუპავამ. (საქდესი).

საზღვარგარეთ

მეგობრული ვიზიტი

გერლინის საკითხი ყურადღების ცენტრში

უმუშევრობის ზრდა დიდ ბრიტანეთში

საქმოსანთა კაპრიზებზე დამოკიდებული ხელოვნება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). გუშინდელ დილის სხდომაზე უშიშროების საბჭო იხილავდა აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოს — გვინეის რესპუბლიკის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შეესახებ. ერაყისა და იაპონიის წარმომადგენლებმა უშიშროების საბჭოს განსახილველად შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რომელშიც საბჭოს სთხოვენ ურჩიოს გენერალურ ასამბლეას, რომ გვინეის რესპუბლიკა მიღებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გვინეის რესპუბლიკის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

უშიშროების საბჭომ 10 ხმით (ერთმა წევრმა — საფრანგეთმა თავი შეიკავა) გამოიტანა გადაწყვეტილება — ურჩიოს გენერალურ ასამბლეას მიიღოს გვინეის რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

უშიშროების საბჭოს სხდომის დასაწყისშივე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რომ დღის წესრიგში შეეტანათ საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად სამხრეთ კორეისა და სამხრეთ ვიეტნამის მიღების შესახებ.

უწოდა რა ამერიკის დელეგაციის ამ ნაბიჯს „ცივი ომის“ მანევრი, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა ილაპარაკა იმის წინააღმდეგ, რომ დღის წესრიგში შეეტანათ და განეხილათ საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად სამხრეთ კორეისა და სამხრეთ ვიეტნამის მიღების შესახებ. 9 დელეგაციამ ხმა მისცა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას, სსრ კავშირის დელეგაციამ წინააღმდეგ მისცა ხმა, ერაყის დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა შეიტანა შესწორება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამხრეთ კორეის მიღების შესახებ რეზოლუციის პროექტისათვის. ეს შესწორება ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთსა და იმავე დროს იქნენ მიღებული კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და სამხრეთ კორეა.

9 დეკემბრის დილის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამხრეთ კორეის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის მიღების შესახებ ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ უშიშროების საბჭომ დაიწყო რეზოლუციათა პროექტებისა და შესწორებათა კენჭისყრა. საბჭოთა კავშირის დელეგაციის შესწორებანი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების რეზოლუციის პროექტისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამხრეთ კორეის მიღების შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ისე სამხრეთ კორეის ერთსა და იმავე დროს მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, უარყოფილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეების ცხრა ხმით. ამ შესწორებებს ხმა მისცა საბჭოთა კავშირის დელეგაციამ. ერაყის დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა.

შემდეგ კენჭი უყარეს რეზოლუციის პროექტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მხოლოდ სამხრეთ კორეის მიღების შესახებ. ამ რეზოლუციის პროექტს ხმა მისცა ცხრა დელეგაციამ. ერაყის დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა. რადგან უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა მუდმივმა წევრმა — საბჭოთა კავშირმა წინააღმდეგ მისცა ხმა, რეზოლუციის პროექტი საბჭომ არ მიიღო.

ამის შემდეგ კენჭს უყარეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა დელეგაციების რეზოლუციის პროექტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამხრეთ ვიეტნამის მიღების შესახებ. 9 დელეგაციამ ხმა მისცა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას, სსრ კავშირის დელეგაციამ წინააღმდეგ მისცა ხმა, ერაყის დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა შეიტანა შესწორება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამხრეთ კორეის მიღების შესახებ რეზოლუციის პროექტისთვის. ეს შესწორება ითვალისწინებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ერთსა და იმავე დროს იქნენ მიღებული კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და სამხრეთ კორეა. რადგან ეს შესწორება სსრ კავშირმა წინააღმდეგ მისცა ხმა, ამერიკის რეზოლუციის პროექტი საბჭომ არ მიიღო.

ამერიკის შეერთებული შტატების ცდები, რომ უშიშროების საბჭოს გამოეტანა გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მხოლოდ სამხრეთ კორეის, აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამის მიღების შესახებ, წარმატებით არ დაგვირგვინებულა. უშიშროების საბჭოს სხდომამ კვლავ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ შეინარჩუნონ სამხრეთი კორეა და სამხრეთი ვიეტნამი როგორც თავიანთი სამხედრო-სტრატეგიული ბაზები და არ დაუშვან ამ ქვეყნების სამართლიანი და დემოკრატიული გაერთიანება და განაგრძობენ პოლიტიკას, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ჟენევის თათბირის 1954 წლის გადაწყვეტილებებს და კორეის დაზავების პირობებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ ამერიკის ხელოვნების შესახებ

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელ ნომრებში გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ორი ვრცელი სტატია ამერიკის ხელოვნების შესახებ. სტატიები ეკუთვნით სხვადასხვა ავტორებს, მაგრამ ორივე გამოხატავს ერთსა და იმავე აზრს, რომ ეცემა ამერიკის ხელოვნება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უგულებელყოფს მის საარსებო საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

სტატიების ავტორები უწინარეს ყოვლისა ისახავენ ამოცანას წარმოადგინონ ამერიკის მთავრობისა და ხელოვნების მოღვაწეთა „ურთიერთ დამოკიდებულების“ საერთო სურათი.

ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მთავრობა ფინანსურ დახმარებას არ უწევს ხელოვნებას, აქ არ არის თეატრები და დასები, რომლებიც მუდმივ საფუძველზე მოქმედებდნენ. ერთ-ერთი სტატიის ავტორი — ბრეკერი აღნიშნავს, კერძოდ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის ისეთი ოპერის თეატრი, მთელი ქვეყანა რომ აღიარებდეს, როგორიცაა „ლა სკალა“, არც ისეთი საბალეტო დასი, როგორიც არის დიდ თეატრში, არც ისეთი სახელმწიფო ორკესტრი, როგორიც არის ვენის ფილარმონიის ორკესტრი. არ არის არც ცენტრალიზებული დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობდეს მთელ თეატრალურ საქმიანობას. ამის შედეგად მსახიობები, მთელი კოლექტივები დამოკიდებული არიან იმ კერძო პირების ნებაზე ან, უფრო სწორად, კაპრიზებზე, რომლებიც აფინანსებენ მათ საქმიანობას.

მეორე სტატიის ავტორი ტაუბმენი დახმარებას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა უწევს ხელოვნებას, უწოდებს „განსაცვიფრებელს“, ხოლო სსრ კავშირში თეატრების რაოდენობას — „გასაოცარს“. „კლასიკური პიესები, დაწყებული ბერძნულით და გათავებული ჩეხოვის პიესებით, — წერს იგი, — შესანიშნავად იდგმება თეატრებში. დიდი რუსული, იტალიური და ფრანგული ოპერები იდგმება თეატრალური ვირტუოზობით. ორკესტრები ასრულებენ ნაწარმოებებს, რომლებიც ასახავენ დასავლეთის მუსიკალური მემკვიდრეობის მთელ მოცულობას... შემოქმედებითს მხატვარს შესაძლებლობა აქვს განავითაროს თავისი ხელოვნება, გაიზარდოს იმის სრული შეგნებით, რომ მას უკავია მტკიცე და საპატიო ადგილი თავის საზოგადოებაში“.

ფაქტად რჩება ის, განაგრძობს ავტორი, რომ მილიონობით ადამიანს შეუძლია განავითაროს გემოვნება და მხატვრული შეხედულებანი. „ხელოვნების დარგში საბჭოთა მიღწევებთან შედარებით, — დასასკვნის ტაუბმენი, — ჩვენ შეერთებულ შტატებში ძლივს მივლასლასებთ“.

ტაუბმენი აცხადებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება ხელოვნებისადმი და რომ ამერიკის მთავრობამ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი ეროვნული არტისტული ნიჭის განვითარებას. „მტკიცედ უნდა მოვითხოვოთ, რომ ჩვენი არტისტული დაწესებულებები მოქმედებდნენ მუდმივ საფუძველზე. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ის, რომ მათი ბედი არ იყოს დამოკიდებული კონიუქტურულ მერყეობაზე ან ცალკეულ პირთა კაპრიზებზე. არ უნდა დავუშვათ, რომ ისინი მათხოვრობდნენ, როგორც ლატაკნი...“

ტაუბმენის სურვილებს, უეჭველია, იზიარებს ამერიკის ხელოვნების ბევრი პროგრესული წარმომადგენელი. მაგრამ, თვით ამერიკის პრესის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სხვა შეხედულებები აქვს იმ პრობლემებსა და ამოცანებზე, რომლებიც დასახულია ამერიკის ხელოვნების წინაშე. მოწოდებანი ფინანსური დახმარება გაეწიოს ამერიკის ხელოვნებას უკვე დიდი ხანია გაისმის შეერთებულ შტატებში, მაგრამ მთავრობა, რომელიც გამალებულ შეიარაღებას ახორციელებს, ყურად არ იღებს მათ. უფრო მეტიც, სახელმწიფო დეპარტამენტის გეგმების თანახმად, ხელოვნებას აკუთვნებენ მეტად საძრახის როლს ცივ ომში. ამას აღნიშნავს, კერძოდ, ბრეკერი. „არავითარი ეჭვი არ არის, — წერს იგი, — რომ მთავრობასა და ხელოვნებას შორის ურთიერთობის მთელი საკითხი განისაზღვრა იმით, რომ გამოყენებულ იქნას ხელოვნება შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად ცივ ომში“.

„საქართველოს“ ბილეთები

ახლად გახსნილ სასტუმრო „საქართველოს“ პირველ სართულში თბილისის რესტორნების ტრესტმა გახსნა კეთილმოწყობილი რესტორანი „საქართველო“.

ყურადღებას იპყრობს სასადილო დარბაზი, რომელიც ერთდროულად 200-მდე კაცს ემსახურება. იგი გაფორმებულია ქართული სტილით არქიტექტორ ნ. ფირცხელაიშვილის მიერ. ლამაზი მარმარილოს სვეტები, ჭაღები, სურათები, პალმები, ყვავილები და სხვ. მესანიშნაოდ არის შეხამებული მეიდრეულ ავეჯთან. დარბაზს აქვს ესტრადა, სადაც უკრავს ჯაზი გ. გასისკირიას ხელმძღვანელობით.

სამზარეულო, რომელიც მოწყობილია უახლესი ტექნიკით, ელექტროფიცირებული დანადგარებით, მძლავრი სამაცივრო მეურნეობით. აქვს ხორცის, თევზის, ბოსტნეულის გადამუშავებელი საამქროები, სამწვადე, ქართული პურის საკუთარი საცხობი, ჭურჭლის მექანიზებული სამრეცხაო, საკუთარი საკონდიტრო და ნახევარფაბრიკატების წარმოება. აქ თითქმის ყველა სამუშაო მექანიზებულია. პროდუქტების მიწოდება ხდება ლიფტით. რესტორნის ყველა უბანზე მოწყობილია კონდიცირებული ჰაერის მიწოდება.

საჭმელი მზადდება ცნობილი კულინარის შეფ-მზარეულ ი. ჩიხრაძის ხელმძღვანელობით. ყოველდღიურად მზადდება ქართული და ევროპული საჭმელები.

რესტორანი აწარმოებს სადილების შინ გაცემას 10 პროცენტის ფასდაკლებით. სამზარეულოს სხვადასხვა წარმოების ბაზაზე რესტორნის ახლოს განზრახულია გაიხსნას ნახევარფაბრიკატების მაღაზია.

განზრახულია აგრეთვე ახლო მომავალში გაიხსნას საბანკეტო დარბაზი და კაბინეტები, კაფე.

* * *

სურათზე: რესტორან „საქართველოში“.

სპორტის ამბები

ქალთა საბადრაკო ჩემპიონატი

ხარკოვი. 11 დეკემბერი. (ტელეფონით). გუშინ მოეწყო სსრ კავშირის ქალთა XX საბადრაკო ჩემპიონატის ფინალური ტურნირების გადადებული პარტიების დამთავრება.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უფროსულმა ოსტადრაკე ქალმა კ. ზვორიკინამ 2 გადადებული პარტიიდან ლ. ვოლპერტთან და ო. იგნატიევასთან ორივე მოიგო და შეკოვებული ჭულებით პირველობის გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა.

ლ. ნისენბოიმმა დამარცხა ს. როოტარე, ტ. ზატულოვსკაიამ — ტ. ვილენოვსკაია, ვ. ბორისენკომ — ო. სტრანდსტრემი, ი. გურფინკელმა — ბ. გოიხენბერგი, ლ. ვოლპერტმა — ა. ჩაკოვსკაია, ა. კუშნირმა — ე. კაკაბაძე.

ლ. მალინოვა-ო. ტიხომიროვას, ა. კუშნირ-ე. ბიკოვას, ო. იგნატიევ-ო. რუბცოვას, მ. ტოგონიძე-ლ. ნისენბოიმისა და ლ. იაკირ-ო. ტიხომიროვას პარტიები ყაინით დამთავრდა.

13 ტურის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერია კ. ზვორიკინა, რომელიც 12-დან 9,5 ქულა აქვს. ნ. გაფრინდაშვილა და ლ. ვოლპერტს 13-დან რვანახევარ-რვანახევარი ქულა აქვთ, ე .ბიკოვას — 12-დან 8 ქულა, ა. კუშნირსა და ტ. ზატულოვსკაიას — 12-დან 7½ ქულა, ლ. ნისენბოიმს — 13-დან 7½ ქულა, ვ. ბორისენკოს — 12-დან 6,5 ქულა, ს. როოტარესა და ო. რუბცოვას — 12-დან ექვსექვსი ქულა, ი. გურფინკელს — 13-დან 6 ქულა, ო. იგნატიევას, მ. ტოგონიძესა და ლ. მალინოვას— 12-დან ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა, ე. კაკაბაძესა და ლ. იაკირს — 13-დან ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა, ა. ჩაკოვსკაიასა და ვ. ტიხომიროვას — 12-დან ხუთ-ხუთი ქულა.

ამხანაგური შეხვედრა

თბილისის „დინამოს“ ზამთრის საცურავ აუზში რამდენიმე დღის გრძელდებოდა ამხანაგური შეხვედრა ცურვაში აზერბაიჯანისა და საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივებს შორის.

ამ შეჯიბრებაში ორივე მოძმე რესპუბლიკის მცურავებმა კარგი შედეგი აჩვენეს. ცურვის მეტ სახეობაში წარმატება ხვდათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს და გუნდური პირველი ადგილიც მათ მოიპოვეს.

200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში საქართველოს გუნდის წარმომადგენლის ლ. კილოვას შედეგი ახალი რესპუბლიკური მიღწევაა.

სსრ კავშირი — შვეიცია

შვეიცის კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი, შვედი სპორტსმენები კარგად ფლობენ ჭიდაობის მაღალ ტექნიკას, აქვთ საერთაშორისო შეხვედრებისა და სხვადასხვა ჩემპიონატებში ბრძოლის დიდი გამოცდილება.

მარტო ის, რომ ევროპის 14 პირველობაზე შვეიცის მოჭიდავეთა კოლექტივმა რვაჯერ მოიპოვა ჩემპიონის სატიტო წოდება, ცხადყოფს ამ ქვეყნის მოჭიდავეთა კოლექტივის ძლიერებას.

ამ დღეებში შვეიცის კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდი მოსკოვს ეწვია. შეჯიბრება გაიმართა 10 დეკემბერს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში.

შეხვედრას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. ჭაპარზობა ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით. საბჭოთა მოჭიდავეებმა 8 წონითი კატეგორიიდან 5 შეხვედრა მოიგეს და სამი ფრედ დაამთავრეს. მატჩის შედეგია 13:3 ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეთა სასარგებლოდ.

უახლოეს დღეებში შვეიცის მოჭიდავეებს თბილისში მოელიან. საქართველოსა და შვეიცის ნაკრები გუნდების შეჯიბრება გაიმართება თბილისის სახელმწიფო ცირკში 16 დეკემბერს.

ჯონ მილტონის ხსოვნის საღამო

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ამ დღეებში აღინიშნა დიდი ინგლისელი პოეტისა და პუბლიცისტის ჯონ მილტონის დაბადების 350 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საღამო, რომელიც 9 დეკემბერს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთა ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

საღამო გახსნა საზოგადოების ლიტერატურული სექციის ვიცე-პრეზიდენტმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა და საზოგადოება „სსრ კავშირი-დიდი ბრიტანეთის“ გამგეობის წევრმა პოეტმა გ. აბაშიძემ.

ჯონ მილტონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა დოცენტმა გ. გაზეჩილაძემ.

მურალმა ვ. ჭელიძემ წაიკითხა მილტონის ნაწარმოებნი, რომლებიც მან თარგმნა ორთულ ენაზე.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

დისერტაციების დაცვა
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1)
1958 წ. 24 დეკემბერს დღის 3 საათზე № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ეკატერინე ალექსანდრეს ასული ოსიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**მიმღეობის წარმოება ქართულში**“.
1958 წ. 25 დეკემბერს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **აბელ ერასტის-ძე ჩანტლაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**თბილისის მიწეტი და საქალაქო მეურნეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი**“.
დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ეროვნული თვალსაზრისი

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი (მე-5 აბონ. მე-4 სპექტ.), რუსთაველის სახელობის — არაგველები. მარჯანიშვილის სახელობის — მოკვეთილი, გრიბოედოვის სახელობის — გრიგალი, რკინიგზის სახლი — გვიან და ბედნიერად (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი), სანკულტურის — ერთი დღე ადგარაკზე, სომხური დრამის — სამგელ, მოზარდ მაყურებელთა ქართული — შავი ბიჭი (აბონ. № 14, 6 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ჩიპოლინოს თავგადასავალი (აბონ. №№ 13, 19, 20, 1 ს.), თოჯინების ქართული — ყურშა (11 და 2 ს.), თოჯინების რუსული — ცეროდენა (აბონ. № 22, 3 ს.).

მეგობრული ვიზიტი

უნგრეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია პრაღაში

პრაღა, 10 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დღეს პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის და რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე ფერენც მიუნიხი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სახელმწიფო მინისტრი დიერდ მაროშანი.

უნგრელ სტუმრებს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი, მთავრობის თავმჯდომარე ვილიამ შიროკი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ზდენეკ ფირლინგერი და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის სხვა წარმომადგენლები.

უნგრეთის დელეგაციას შეხვდა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ათასობით მშრომელი.

სტუმრებს მიესალმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მე-3 მუხლის ინგლისური პროექტი და ჯონტროლის საკითხზე სამუშაო დოკუმენტი, რომელიც წინათ შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ.

ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი დღეს პრეს-კონფერენციაზე ამტკიცებდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა მარტო თავიანთ უფლებად, არამედ მოვალეობადაც მიაჩნიათ შეინარჩუნონ დასავლეთ ბერლინის ახლანდელი მდგომარეობა. შეერთებული შტატები, პრეზიდენტის სიტყვით, „ვერ იტყვიან უარს თავიანთ ვალდებულებებზე“ ბერლინის მიმართ.

ეიზენჰაუერმა ბერლინის პრობლემა გერმანიის გაერთიანებას დაუკავშირა და განაცხადა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ყოველთვის იცავდნენ გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების პრინციპს და უარს ამბობდნენ ეწარმოებინათ მოლაპარაკება ყოველი მოწესრიგების შესახებ, რომელიც არ ითვალისწინებს ამ პრინციპის განხორციელებას.

ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 10 დეკემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხის შესახებ სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჟენევის თათბირის მორიგი სხდომა.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ძირითად დებულებათა შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დაცვისადმი საკონტროლო ორგანიზაციათა დაარსების წესსა და საქმიანობას, საკონტროლო ორგანიზაციის შემადგენლობის შესახებ მე-3 მუხლის ინგლისური პროექტი და ჯონტროლის საკითხზე სამუშაო დოკუმენტი, რომელიც წინათ შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ.

უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე

ლონდონი, 10 დეკემბერი. (საკდესი). სწრაფად მზარდმა უმუშევრობამ დიდ ბრიტანეთში ამჟამად მიაღწია ყველაზე მაღალ დონეს უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

შრომის სამინისტროს გუშინ გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობების მიხედვით. მიმდინარე წლის 17 ნოემბერს დიდ ბრიტანეთში იყო 575.500 რეგისტრირებული უმუშევარი — 23.500 კაცით მეტი ვიდრე წინა თვეში და 225.300 კაცით მეტი, ვიდრე 1957 წლის ნოემბერში.

განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობის დონე ჩრდილოეთ ირლანდიაში, სადაც იგი აღწევს მთელი თვითმოქმედი მოსახლეობის 8,3 პროცენტს, შოტლანდიაში— 4,4 პროცენტს, უელსში — 4,1 პროცენტს და ინგლისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — 3,2 პროცენტს.

ექსპერტთა თათბირი

ჟენევა, 10 დეკემბერი. (საკდესი). უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა საკითხის შესახებ ექსპერტთა თათბირის დღეგანდელ სხდომაზე, რომელიც კანადის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, განცხადებანი გააკეთეს ჩეხოსლოვაკიისა და კანადის წარმომადგენლებმა.

ნერუს პრეს-კონფერენცია

დელი, 10 დეკემბერი. (საკდესი). გამოვიდა რა დღეს პრეს-კონფერენციაზე, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ, კერძოდ, შეეხო ინდოეთის მესამე ხუთწლიანი გეგმის შემუშავების საკითხს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გეგმის ამოცანაა დაკმაყოფილოს ინდოეთის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებანი. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მესამე ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის განვითარებას, ხელოვნური სასუქების წარმოებას, მძიმე მანქანათმშენებლობის, სამთამადნო მრეწველობის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის განვითარებას.

ნერუმ შემდეგ განაცხადა, რომ როგორც მას მიაჩნია, ინდოეთი ეკონომიკის განვითარების საკითხებში უნდა დაეყრდნოს არა უცხოეთის დახმარებას, არამედ თავისი წარმოების განვითარებას.

შეეხო რა გადატრიალებას ერაყსა და პაკისტანში, ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყში მოხდა რევოლუცია, რომელმაც არა მარტო შეცვალა მონარქია რესპუბლიკით, არამედ შეცვალა ერაყის ძირითადი პოლიტიკაც.

ყოველი მხრიდან

◆ როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება. 10 დეკემბერს პრაღის კრემლში დაიწყო მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციასა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციას შორის.

◆ 10 დეკემბერს ვარშავაში გაიმართა მოლაპარაკება ერთი მხრივ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სახელმწიფო საბჭოს წევრი. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა და მეორე მხრივ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციას შორის. რომელსაც მეთაურობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტი.

◆ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნო იუწყება, რომ 10 დეკემბერს ბერლინში გაიხსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ბიუროს სხდომა. დღის წესრიგშია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მე-4 კონგრესის გადაწყვეტილებათა შესრულება. და ფედერაციის ამოცანები.

◆ 10 დეკემბერს ბონში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო მოლაპარაკება იმის თაობაზე. რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის შეხებაზე.

◆ ადენის სააგენტოს ცნობით, ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს რურიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამთამადნო მრეწველობის 11 მილიონი მარკის პროდუქციის მიწოდებას. ხელშეკრულების შესაბამისად ეს მიწოდება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.

◆ ადენის სააგენტოს ცნობით, ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ გერმანიის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს რურიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამთამადნო მრეწველობის 11 მილიონი მარკის პროდუქციის მიწოდებას. ხელშეკრულების შესაბამისად ეს მიწოდება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.

◆ ადენის სააგენტოს ცნობით, 10 დეკემბერს ბონში ინდოეთის ელჩმა ინდოეთის ელჩმა ინდოეთის ელჩმა